მომხს: გ. თავბერიძე

<u>**პროექტი**</u>

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

„-----“ დეკემბერი 2019 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ივლისის №41 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ივლისის №41 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“.

1. ამოღებულ იქნეს საპრივატიზაციო ნუსხიდან თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ივლისის №41 განკარგულების დანართის „საპრივატიზაციო ნუსხაში შესატანი უძრავი ქონება და პრივატიზების გეგმა“ შესაბამისად საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი, სოფელ კონდოლში მდებარე 12192 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.05.32.261).

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ივლისის №41 განკარგულების დანართი „საპრივატიზაციო ნუსხაში შესატანი უძრავი ქონება და პრივატიზების გეგმა“ ჩამოყალიბდეს თანდართული ფორმით.

მუხლი 2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**

საპრივატიზაციო ნუსხაში შესატანი უძრავი ქონების ნუსხა და პრივატიზების გეგმა

N	ქონების დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ.)	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონის ფორმა	გადახდის პერიოდი
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (წყლის ავზი)	სოფ. იყალთო	53.12.36.151	151 კვ.მ.	4200	**პირობიანი:** **ა)** მყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწის ნაკვეთზე არსებული სასმელი წყლის სამარაგე ავზის მოვლა-პატრონობა; **ბ)** უზრუნველყოს სასმელი წყლის მიწოდება სოფელ იყალთოს საბავშვო ბაღისთვის	15 დღე
2	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ. თელავი, არჩილ II-ის ქუჩა	53.20.31.025	5158 კვ.მ.	99000	**პირობიანი:** **ა)** მყიდველი ვალდებულია შეძენილ უძრავ ქონებაზე ააშენოს კომერციული დანიშნულების ობიექტი; **ბ)** შეძენილი ფართობის მინიმუმ 15%-ზე უზრუნველყოს მწვანე ზოლის მოწყობა, ხოლო დანარჩენ ფართობზე, საჭიროებიდან გამომდინარე, საპარკინგე ადგილების გამოყოფა; **გ)** მშენებლობის პროექტი წარმოადგინოს საკუთრების მოწმობის გაცემიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში	15 დღე

3	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა	53.20.40.545	213 კვ.მ.	7250	**პირობიანი:** მყიდველი ვალდებულია მიწის ნაკვეთი გამოიყენოს არაკომერციული დანიშნულებით	15 დღე

საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**

ქ. თელავი 10.12.2019 წ.

განმარტებითი ბარათი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ივლისის №41 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ივლისის №41 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის საკითხს.

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ივლისის სხდომაზე №41 განკარგულებით საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილ იქნა სოფელ კონდოლში მდებარე 12192 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.05.32.261).

ცვლილების პროექტი ითვალისწინებს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 53.05.32.261) საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოღებას, ვინაიდან, გამოვლინდა ახლად აღმოჩენილი გარემოება, რომლის თანახმად დადგინდა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ კონდოლში მდებარე 12192 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი 1993-1998 წლებში განაწილდა მოსახლეობაზე.

დღეის მდგომარეობით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომართვის საფუძველზე, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლება (რეგისტრაცია) გაუქმებულია.